08/09/2025

MES 9 25 0001087263

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 27 აგვისტოს 12:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Topic: პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა
Time: August 27, 2025 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/87129031365?pwd=KeeZ0X1QMXbn72zB7ahOmHEFN46iRY.1

Meeting ID: 871 2903 1365
Passcode: 373744

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს მდივანი);

თორნიკე თოხაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნათია გვირჯიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდა
ნინო ნანიკაშვილი - ადამიანური კაპიტალის მართვისა და ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
მარიკა გაჩეჩილაძე - აღმასრულებელი შეფი ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ საკითხებში;
სოფიო გაჩეჩილაძე - სერვისის მენეჯერი;
ალექსანდრე თავაძე - შიდა პროექტების განვითარების მენეჯერი.

შპს ციფრული და კომპიუტერული მეცნიერებების აკადემია ნეთქორ
ვაჟა რომანაძე - დირექტორი;
გრიგოლ კახიანი - პროფესიული მომზადების პროგრამის „Python პროგრამირება“ განმახორციელებელი პირი;
ნიკა ბერიძე - პროფესიული მომზადების პროგრამის „ბექენდ დეველოპმენტი - Java“ განმახორციელებელი პირი.

შპს ოსტეოპათიური ცენტრი
სალომე კვარაცხელია - გენერალური მენეჯერი;
ანა სოსელია - პროფესიული მომზადების პროგრამის „კლასიკური და სპორტული მასაჟი“ განმახორციელებელი პირი.

შპს ბაუმერი
რევაზ ქამაშიძე - დირექტორი;
ნინო გვარაძე - აკადემიის ხელმძღვანელი
ლაშა ქარელი - პროფესიული გადამზადების პროგრამის „მაცივარაგენტზე მომუშავე ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების მომსახურება“ განმახორციელებელი, HVAC/R სისტემების ტრენერი.

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
მაია მსხილაძე

მიხეილ ხუციშვილი
ნანა შათირიშვილი
ალექსანდრე კეკენაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:08 საათზე

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება.
რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდის „კლასიკური დესერტების მომზადება“ /02352/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდის „ქართული სამზარეულოს ავთენტური კერძების მომზადება“ /02353/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდის „სერვისი და სერვირება სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტებში“ /02367/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს ციფრული და კომპიუტერული მეცნიერებების აკადემია ნეთქორის „Python პროგრამირება“ /02282/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს ციფრული და კომპიუტერული მეცნიერებების აკადემია ნეთქორის „ბექენდ დეველოპმენტი - Java“ /02283/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს ოსტეოპათიური ცენტრის „კლასიკური და სპორტული მასაჟი“ /02339/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. შპს ბაუმერის „მაცივარაგენტზე მომუშავე ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების მომსახურება“ /02056/ პროფესიული გადამზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდის „კლასიკური დესერტების მომზადება“ /02352/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მაია მსხილაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 21 ივლისის №897431 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა მაია მსხილაძემ შეისწავლეს შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდის პროფესიული მომზადების პროგრამის „კლასიკური დესერტების მომზადება“ (ID 02352) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 12 აგვისტოს განახორციელეს ვიზიტი შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდაში, მისამართზე ქ. თბილისი, ძველი თბილისი, მთაწმინდის პლატო.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ძველი თბილისი, მთაწმინდის პლატო.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შრომის ბაზარზე, კონდიტერიის მიმართულების პროფესიონალებზე მოთხოვნა დასტურდება სხვადასხვა კვლევებით, თუმცა, კომპანიის მიერ აღნიშნული პროგრამის შემუშავების ძირითადი საფუძველი გახდა კომპანიაში არსებული მზარდი მოთხოვნა კვალიფიციურ პერსონალზე. ბოლო წლებში, ფიქსირდება ქვეყნიდან აქტიური სამუშაო ძალის გადინების მაღალი კოეფიციენტი, რაც კომპანიაზეც აისახება. ამჟამად, კომპანიაში, კულინარიის სფეროში

დასაქმებულია 160-მდე პირი, ხოლო ვაკანტური ადგილების რაოდენობა, 27-ს შეადგენს. 2024 წელს, კომპანიამ გამოაცხადა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრებზე 50-მდე ვაკანსია, საიდანაც მხოლოდ 51%-ზე განახორციელა თანამშრომლის დაქირავება. მიუხედავად ვაკანტური პოზიციების ნაწილობრივი დაკომპლექტებისა, კომპანიის მთავარ გამოწვევად იდენტიფიცირდება კვალიფიციური ადამიანური რესურსის ნაკლებობა. კერძოდ, ვაკანტური პოზიციების დაკომპლექტების მიზნით, კომპანიას ხშირად უწევს არაკვალიფიციური კადრების დაქირავება სამუშაო ადგილზე სწავლებისა და შემდგომი გადამზადების პერსპექტივით. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მიაჩნია კომპანიას, რომ ამ საჭიროებების დაკმაყოფილებას შეძლებს პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატის გაცემა და პროგრამების სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად განხორციელება გაზრდის დაინტერესებას, როგორც არსებულ, ასევე პოტენციურ თანამშრომლებში.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობაა 12 კვირა. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით.

მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში ასახული ინფორმაციით.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამაში ჩართული იქნება 4 განმახორციებელი პირი. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, ვიზიტის დროს მოხდა სასწავლო გარემოების დათვალიერება, კომპანიას პროგრამის თეორიული კომპონენტის განხორციელებისთვის განსაზღვრული აქვს A ტიპის სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია 10 სამუშაო ადგილი მსმენელებისთვის, 1 სამუშაო ადგილი პროგრამის განმახორციელებელი პირისთვის. C ტიპის სასწავლო გარემო - პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება კომპანიის კონდიტერიის სივრცეში, სრულად აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. ამ სივრცეში შესაძლებელია ერთდროულად 5 მსმენელის განთავსება და სწავლება. კომპანიაში შექმნილი გარემო პირობები სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობის შესახებ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების - ტექნიკურ რეგლამენტთან „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი

დარგის განვითარებაში. კომპანია, მრავალი წელია სარესტორნო ბიზნესში საქმიანობს და მუდმივად ახორციელებს ახალი კადრების მოზიდვასა და განვითარებას. მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პერსონალის პროფესიული უნარების განვითარება წარმოადგენს ბიზნესის წარმატების მთავარ წინაპირობას. სარესტორნო სექტორის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე კომპანიაში, წარმოადგენს კვალიფიციური კადრების დეფიციტი. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა მომსახურების მაღალი სტანდარტების მოთხოვნის ზრდის პირობებში. სწორედ ამიტომ, აუცილებელია სისტემური ნაბიჯების გადადგმა, რათა კომპანიამ შეძლოს, როგორც შიდა საკადრო საჭიროებების დაკმაყოფილება, ისე სექტორის საერთო განვითარებაში წვლილის შეტანა. დღემდე, თანამშრომელთა სწავლება მიმდინარეობდა არაფორმალური გზით - ადგილზე, სამუშაო პროცესში, გამოცდილ თანამშრომელთა მენტორობით და შიდა ტრენინგ პროგრამებში მონაწილეობით. ამ მეთოდმა მნიშვნელოვნად გაზარდა კადრების პროფესიული დონე, თუმცა კომპანიის აზრით მნიშვნელოვანი იქნება ტრენინგები გადავიდეს ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში და მონაწილეებს მიეცეთ შესაძლებლობა მიიღონ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი. ეს ნაბიჯი კომპანიას მისცემს საშუალებას გაზარდოს კადრების კვალიფიკაცია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; დანერგოს თანამშრომლების პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის ფორმალური მექანიზმი; გაიზარდოს კომპანიის კონკურენტუნარიანობა ბაზარზე; შემცირდეს როგორც ქვეყნის, ისე კომპანიის შიგნით არსებული საკადრო დეფიციტი; რაც იქნება კომპანიის წვლილი სარესტორნო სექტორის პროფესიულ განვითარებაში. შესაბამისად, კომპანიის ინიციატივა შეესაბამება როგორც ბიზნესის, ისე ქვეყნის ეკონომიკურ და საგანმანათლებლო ინტერესებს, და რეაგირებას ახდენს იმ გამოწვევაზე, რომელიც დღეს კვალიფიციური სამუშაო ძალის სიმცირით არის განპირობებული.

აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტის 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტს, აღნიშნული ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას გამოცდილების არარსებობის გამო.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს საინტერესო პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდის „კლასიკური დესერტების მომზადება“ /02352/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდას (ს/კ: 203843396) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კლასიკური დესერტების მომზადება /02352/ **(დანართი 1).**

2. შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდის „ქართული სამზარეულოს ავთენტური კერძების მომზადება“ /02353/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 21 ივლისის №897424 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა მიხეილ ხუციშვილმა შეისწავლეს შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდის პროფესიული მომზადების პროგრამის „ქართული სამზარეულოს ავთენტური კერძების მომზადება“ (ID 02353) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 12 აგვისტოს განახორციელეს ვიზიტი შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდაში, მისამართზე ქ. თბილისი, ძველი თბილისი, მთაწმინდის პლატო.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ძველი თბილისი, მთაწმინდის პლატო.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შრომის ბაზარზე, კულინარიის მიმართულების პროფესიონალებზე მოთხოვნა დასტურდება სხვადასხვა კვლევებით, თუმცა, “შპს ჯი ემ თი მთაწმინდა”-ს მიერ აღნიშნული პროგრამის შემუშავების ძირითადი საფუძველი გახდა კომპანიაში არსებული მზარდი მოთხოვნა კვალიფიციურ

პერსონალზე. როგორც კონდიტერიის მიმართულებით, ანალოგიური სიტუაცია დაფიქსირდა კულინარიის მიმართულებითაც.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობაა 12 კვირა. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით. პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილია 10 მსმენელი. კომპანიას ამ პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული აქვს მატერიალურ-ტექნიკური რესურსი თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის: A ტიპის სასწავლო გარემო, თეორიული სწავლების აუდიტორია, სამუშაო ადგილებით: ა) მასწავლებლისთვის/ინსტრუქტორისთვის - 1 სამუშაო ადგილი; ბ) მსმენელისთვის - 10 სამუშაო ადგილი. C ტიპის სასწავლო გარემო - პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება კომპანიის სივრცეში, რომელიც სრულად აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. ამ სივრცეში შესაძლებელია ერთდროულად 10 მსმენელის განთავსება და სწავლება. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებში ასახული ინფორმაციით.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამაში ჩართული იქნება 4 განმახორცილებელი პირი. როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით. ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
რაც შეეხება მეორე სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ ეს პროგრამაც წარმოდგენილია შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდის მიერ და მესამე სტანდარტი შეფასდა ანალოგიურად.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
პრეზენტაციის დასრულების შემდეგ დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ კომპანიაში არსებული მატერიალური რესურსი სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს და დაადასტურა, რომ პროგრამა წარმატებით განხორციელდებოდა არსებული გარემოების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ცენტრის წარმომადგენელს საინტერესო პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდის „ქართული სამზარეულოს ავთენტური კერძების მომზადება“ /02353/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდას (ს/კ: 203843396) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ქართული სამზარეულოს ავთენტური კერძების მომზადება /02353/ **(დანართი 2).**

3. შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდის „სერვისი და სერვირება სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტებში“ /02367/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნანა შათირიშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 4 აგვისტოს №945279 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ნანა შათირიშვილმა შეისწავლეს შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდის პროფესიული მომზადების პროგრამის „სერვისი და სერვირება სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტებში“ (ID 02367) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 13 აგვისტოს განახორციელეს ვიზიტი შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდაში, მისამართზე ქ. თბილისი, ძველი თბილისი, მთაწმინდის პლატო.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ძველი თბილისი, მთაწმინდის პლატო.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ანალოგიური კვლევა ჩატარდა, შესაბამისად ამ პროგრამასთან მიმართებაშიც დაფიქსირდა კვალიიფიციური კადრების დეფიციტი.
პირველ სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამების ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობაა 8 კვირა. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით. პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელებისთვის კომპანია გამოყოფს შემდეგ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას: თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის გამოყოფილია: A ტიპის სასწავლო გარემო, თეორიული სწავლების აუდიტორია, სამუშაო ადგილებით: ა) მასწავლებლისთვის/ინსტრუქტორისთვის - 1 სამუშაო ადგილი; ბ) მსმენელისთვის - 15 სამუშაო ადგილი. C ტიპის სასწავლო გარემო - პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება კომპანიის საკუთრებაში არსებულ 3 სივრცეში: „კაფე ფუნიკულიორი“ - 230 სტუმარზე გათვლილი სივრცე; „ქართული ტრადიციული ბისტრო“ - 230 სტუმარზე გათვლილი სივრცე; „რესტორანი „ფუნიკულიორი“ - წვეულებათა დარბაზი“ - 120 სტუმარზე გათვლილი მაღალი კლასის რესტორანი. აღნიშნულ სივრცეებში პრაქტიკული სწავლება განხორციელდება 3 კვირის განმავლობაში, როტაციის პრინციპით. კერძოდ, ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ჯგუფი გაიყოფა სამ ნაწილად (5 მსმენელი თითოეულ ქვეჯგუფში). თითოეული ქვეჯგუფი თითო კვირით განაწილდება სამივე ტიპის კვების ობიექტში. შესაბამისად, თითოეულ მსმენელს ექნება შესაძლებლობა, პრაქტიკული სწავლება გაიაროს ყველა დასახელებულ ობიექტზე.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებში ასახული ინფორმაციით.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამაში ჩართული იქნება 5 განმახორციებელი პირი. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ აღნიშნული პროგრამაც წარმოდგენილია შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდის მიერ და მესამე სტანდარტი შეფასდა ანალოგიურად.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს საინტერესო პრეზენტაციისთვის, მან დასძინა, რომ მისასალმებელია დარგის ექსპერტის მხრიდან მაღალი შეფასება და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა კომპანიის წარმომადგენლებს, კომპანიის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, საბჭოს წევრებს, რომ მიეცათ შესაძლებლობა წარმოდგენილი პროგრამების განხორციელების, დასძინა, რომ მათ დიდი შრომა გაწიეს, ვიდრე წარმოადგენდნენ პროგრამებს, მან ასევე ყურადღება გაამახვილა კომპანიის თანამშრომლების ჩართულობაზე პროგრამების შემუშავების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდის „სერვისი და სერვირება სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტებში“ /02367/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ჯი-ემ-თი მთაწმინდას (ს/კ: 203843396) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სერვისი და სერვირება სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტებში /02367/ **(დანართი 3).**

4. შპს ციფრული და კომპიუტერული მეცნიერებების აკადემია ნეთქორის „Python პროგრამირება“ /02282/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს ციფრული და კომპიუტერული მეცნიერებების აკადემია ნეთქორის „ბექენდ დეველოპმენტი - Java“ /02283/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საკითხები გაერთიანებული პრეზენტაციის სახით საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, 2025 წლის 29 ივლისის №926979 და №926983 ბრძანებების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ შეისწავლეს შპს ციფრული და კომპიუტერული მეცნიერებების აკადემია ნეთქორის პროფესიული მომზადების პროგრამების „Python პროგრამირება“ (ID 02282) და „ბექენდ დეველოპმენტი - Java“ /02283/ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადები და 2025 წლის 15 აგვისტოს განახორციელეს ვიზიტი შპს ციფრული და კომპიუტერული მეცნიერებების აკადემია ნეთქორში, მისამართზე ქ. ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის 28.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა ორი რეკომენდაცია „ბექენდ დეველოპმენტი - Java“ პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში 1.5 და 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ **ქვესტანდარტი 1.5 – პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე -2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს**
დაწესებულებას პროფესიული მომზადების პროგრამისთვის „ბექენდ დეველოპმენტი - Java'' მინიჭებული აქვს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ელექტრონული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენისათვის, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის შემდეგ, ცენტრი 5 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან. ცენტრმა განსაზღვრულ ვადაში შეამოწმა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული დონის შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონესთან, თუმცა ვიზიტის დროს დარგის ექსპერტის მიერ გაიცა რეკომენდაცია და პროგრამის ჩარჩოს დონედ განისაზღვრა მე-4 დონე, რადგან პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების, მიზნის, თემატიკისა და აღწერილობის გათვალისწინებით სწავლის შედეგებში წარმოდგენილი კომპეტენციები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონეს. შესაბამისად გადაწყვეტილების დანართში აისახოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონე.

ქვესტანდარტი 1.6 პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით
რეკომენდებულია წარმოდგენილი პროგრამის შესწავლა მსმენელებმა დაიწყონ ალგორითმიზაციის შესწავლით, და შემდეგ დაიწყოს Java პროგრამირების ენის შესწავლა, ვინაიდან Java ითვლება ერთ-ერთ მძიმე და რთულ ენად პროგრამირებაში.

პროგრამების პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ორივე პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამების ხანგრძლივობა - 9 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, განხორციელების ადგილი - ქ. ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის 28.

პროგრამების საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, აღნიშნული მიმართულებით კვალიფიციური კადრების სიმცირიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი გაიზრდება, რამეთუ Java-ს პროგრამირების ენა და ბექენდ დეველოპმენტი - Java გამოიყენება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა საბანკო მომსახურება, ფინანსურ სერვისებთან დაკავშრებული ოპერაციების პროგრამულად გამართვა, სამეცნიერო-კვლევით დარგში მონაცემთა ბაზების შენახვა და დამუშავება, გემბლინგ ინდუსტრია, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები - სამედიცინო გამოსახულების პროგრამულ უზრუნველყოფაში, Cloud Computing-ი, ასევე, ისეთი ქსელური საკომუნიკაციო აპლიკაციების შესაქმნელად, როგორიცაა ჩატი და ქსელის მართვის ინსტრუმენტები. შესაბამისად, აღნიშნული პროფესიული მომზადების პროგრამები კურსდამთავრებულთა დასაქმების ზრდას შეუწყობს ხელს.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამების სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამებზე - დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამების ხანგრძლივობა/მოცულობა/ მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამები ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით.

მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებში ასახული ინფორმაციით.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამების მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამების ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, დარგის ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა კომპიუტერების მონაცემებზე და აღნიშნა, რომ კომპიუტერების მონაცემები გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ეს საჭიროა აღნიშნული პროგრამების განხორციელებისთვის, მან დასძინა, რომ მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდების გუნდია აკადემიაში, რაც მისასალმებელია. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობის შესახებ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების - ტექნიკურ რეგლამენტთან „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ აკადემია აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

პროგრამების ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით. რაც შეეხება 3.1, 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტებს, გამოცდილების არარსებობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისასალმებელია წარმოდგენილი პროგრამების განხორციელების სურვილი, განსაკუთრებით რეგიონში ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროგრამების განხორციელება და ასევე მნიშვნელოვანია, რომ აკადემიას ყავს ძლიერი ახლაგაზრდებით დაკომპლექტებული გუნდი.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრ თორნიკე თოხაძეს, მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ამ პროგრამების განხორციელება, ვინაიდან ბაზარზე დეფიციტია, ამ სპეციალობის პირების ანაზღაურება ძალიან მაღალია და სწორედ ასეთი სახის პროგრამების განხორციელება ხელს შუწყობს ბაზარზე დეფიციტის აღმოფხვრას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ციფრული და კომპიუტერული მეცნიერებების აკადემია ნეთქორის „Python პროგრამირება“ /02282/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ციფრული და კომპიუტერული მეცნიერებების აკადემია ნეთქორს (ს/კ: 447000940) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - Python პროგრამირება /02282/ **(დანართი 4).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ციფრული და კომპიუტერული მეცნიერებების აკადემია ნეთქორის „ბექენდ დეველოპმენტი - Java“ /02283/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს

ციფრული და კომპიუტერული მეცნიერებების აკადემია ნეთქორს (ს/კ: 447000940) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ბექენდ დეველოპმენტი - Java /02283/ **(დანართი 5).**

6. შპს ოსტეოპათიური ცენტრის „კლასიკური და სპორტული მასაჟი“ /02339/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ვინაიდან საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა დარგის ექსპერტი, საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 9 ივლისის №848487 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ელისო მურვანიძემ შეისწავლეს შპს ოსტეოპათიური ცენტრის პროფესიული მომზადების პროგრამის „კლასიკური და სპორტული მასაჟი“ (ID 02339) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 22 ივლისს განახორციელეს ვიზიტი შპს ოსტეოაპათიურ ცენტრში, მისამართზე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 21.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი პირველი სტანდარტის ქვესტანდარტებთან დაკავშირებით, კერძოდ,
გამოვლენილი ხარვეზები
ქვესტანდარტი 1.3 - მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან
მიზანი მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული, არ არის შესაბამისობაში პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. მიზანში უფრო მეტად გამოკვეთილია კლასიკური მასაჟი, შესაბამისად ყურადღება უნდა გამახვილდეს სპორტული მასაჟის ფუნქციებზე და დანიშნულებაზე.
ქვესტანდარტი 1.5 - პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე -2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს

წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები არ შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონეს, ვინაიდან პროგრამაში არ არის ყურადღება გამახვილებული სპორტული მასაჟის ფუნქციებსა და დანიშნულებაზე, შესაბამისად, პროგრამის მიზნის, თემატიკის და სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ დაზუსტდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე.

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

პროგრამის სწავლის შედეგები უნდა დაკორექტირდეს, კერძოდ პირველი და მეორე სწავლის შედეგი გაერთიანდეს, მე-3, მე-4 და მე-5 სწავლის შედეგები უნდა ეხებოდეს კლასიკური მასაჟის ილეთებს, დანიშნულებას და სხვ., ხოლო მე-6 და მე-7 სწავლის შედეგები სპორტულ მასაჟის, სპორტული მასაჟის ფაზებს, სახეობების მიხედვით სპორტული მასაჟის შესრულებას, ხანგრძლივობას. ასევე ამოსაღებია პროგრამიდან მე-8 (ჯანმრთელობის მდგომარეობის სხვადასხვა დარღვევები და მათი გათვალისწინება მასაჟის ჩატარებისას), მე-9 (ტანდეგობის დარღვევები და მათი გათვალისწინებით მასაჟის ილეთებისა და ტექნიკების შერჩევა) და მე-10 (სხეულის სხვადასხვა ნაწილზე სკულპტურული მასაჟის ჩატარება) სწავლის შედეგები, ვინაიდან პროგრამა არის - კლასიკური და სპორტული მასაჟი.

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/ მსმენელის სასწავლო დატვირთვა პ როგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატური არ არის, ვინაიდან სპორტულ მასაჟს არ აქვს დათმობილი ის საათების რაოდენობა, რაც მსმენელს გაიყვანს სწავლის შედეგამდე, შესამაბისად, პროგრამის ხანგრძლივობა უნდა გაიზარდოს 15-16 კვირამდე, ასევე არ არის საკმარისი კვირეული საათობრივი დატვირთვა 10 საათი, საკონტაქტო საათების რაოდენობა უნდა გაიზარდოს 18-20 საათამდე.

ასევე გაიცა რეკომენდაცია, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

რეკომენდებულია პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე, პროგრამის შინაარსი/თემატიკა სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი, ვინაიდან უფრო გამოკვეთილია კლასიკური მასაჟი, შესაბამისად ყურადღება უნდა გამახვილდეს სპორტული მასაჟის ფუნქციებზე და დანიშნულებაზე.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 11 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 16, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 21.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მასაჟის სფეროში ამჟამად კვალიფიცირებული კადრების სიმცირეა, ასევე არასაკმარისია არსებული ხარისხიანი საგანმანათლებლო დაწესებულებები ამ მიმართულებით. მათ შორის, ოსტეოპათიურ ცენტრსაც მუდმივად ესაჭიროება მასაჟის სპეციალისტები, რომელთა მოკვლევა ბაზარზე პრობლემას წარმოადგენს. ოსტეოპათიური ცენტრის კლასიკური და სპორტული მასაჟის პროფესიული მომზადების პროგრამა უზრუნველყოფს ამ დისბალანსის შემცირებას ბაზრისთვის კვალიფიციური კადრების მიწოდებით. ოსტეოპათიური ცენტრი მუდმივად ვითარდება და ეძებს კვალიფიციურ კადრებს მასაჟის სპეციალისტის პოზიციაზე. ასევე კიდევ ორი ორგანიზაციისგან: კომპანია „ლაკლინიკისგან“ და კომპანია „ჰერასგან“ უახლოესი 2 თვის განმავლობაში დაფიქსირდა მომართვა, ცენტრს მიეწოდებინა კვალიფიციური კადრები მათი ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად, რომლებიც უკვე დიდი ხანია თავისუფალია, რადგან ვერ ავსებენ მათ კვალიფიციური კადრებით. აღნიშნული მომართვიანობით იკვეთება, რომ ბაზარზე კვალიფიციური მასაჟის სპეციალისტების დეფიციტია და „კავკასიის ოსტეოპათიური სკოლის“ კლასიკური და სპორტული მასაჟის პროფესიული მომზადების პროგრამა შეძლებს შესაბამისი უნარების მქონე კადრების მომზადებას შრომის ბაზრისთვის.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ აღინიშნა გამოვლინდა ხარვეზები, რაც შეეხება 1.2, 1.4, 1.8, 1.9 და 1.10 ქვესტანდარტებს, არ არის დარღვეული.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, ცენტრს წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული აქვს AC გარემო, სადაც განთავსებული აქვს 8 მსმენელისთვის სკამები, თეორიული კომპონენტის განხორციელების დროს შესაძლებელია ამ პრინციპით ერთდროულად 8 მსმენელის განთავსება, ხოლო აღნიშნულ გარემოში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის არის 4 სამასაჟე (დასაკეცი) მაგიდები, რომლებიც ამავე გარემოში იქნება განთავსებული, ამ მიდგომით შესაძლებელია ერთდროულად 4 მსმენელის მიღება პრაქტიკულ მეცადინეობაზე, ხოლო ორ ცვლაში შესაძლებელი იქნება 16 მსმენელის მიღება.
სასწავლო რესურსი წარმოდგენილია ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობის შესახებ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების - ტექნიკურ რეგლამენტთან „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“.
მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პროგრამების ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს ს ა გ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ო
მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით.
რაც შეეხება 3.1, 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტებს, გამოცდილების არარსებობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას. პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ცენტრის წარმომადგენელს პრეზენტაციისთვის და დასძინა, რომ ვინაიდან ხარვეზები დაფიქსირდა პირველი სტანდარტის ფარგლებში, საკითხი კენჭისყრაზე დაეყენებინა ერთთვიანი ვადის განსაზღვრის შესახებ. მან დასძინა, რომ ერთთვიანი ვადა საკმარისი იქნებოდა ამ ხარვეზების გამოსასწორებლად.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ოსტეოპათიური ცენტრის წარმომადგენელს, რომელმაც აღნიშნა, რომ მათთვის ღირებულია დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციები, ასევე გამოვლენილი ხარვეზები, ეთანხმებიან დარგის ექსპერტს, შესაბამისად, უკვე დაწყებული აქვთ მუშაობა პროგრამასთან დაკავშირებით და ერთთვიანი ვადა საკმარისი იქნება გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად და გაცემული რეკომენდაციების გასათვალისწინებლად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ოსტეოპათიური ცენტრისთვის „კლასიკური და სპორტული მასაჟი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ოსტეოპათიურ ცენტრს (ს/კ: 405116609) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - კლასიკური და სპორტული მასაჟი /02339/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

7. შპს ბაუმერის „მაცივარაგენტზე მომუშავე ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების მომსახურება“ /02056/ პროფესიული გადამზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა ნია გუგუნავამ, მან განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 22 ივლისს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დარეგისტრირდა შპს ბაუმერის წერილი №902246. აღნიშნულ წერილში იურიდიული პირი “პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-14 მუხლის თანახმად ცენტრს აცნობებს, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამაში "მაცივარაგენტზე მომუშავე ცენტრალური გათბობა-გაგრილების

სისტემების მომსახურება" განხორციელდა ცვლილებები. კერძოდ, შეიცვალა პროგრამის ხანგრძლივობა. პროგრამის ხანგრძლივობა თავდაპირველად შეადგენდა 12 კვირას (232 საათი), ცვლილების შემდეგ კი შეადგენს 9 კვირას (183 საათს). შემცირებულ ვერსიაში ამოღებულია ელექტროობის თემატიკა, რომლის ხანგრძლივობა იყო 3 საათი. წერილს თან ახლდა როგორც მოქმედი, ასევე ახალი ვერსიით წარმოდგენილი პროგრამა.
აღნიშნულ იურიდიულ პირს, პროფესიული გადამზადების პროგრამის "მაცივარაგენტზე მომუშავე ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების მომსახურება" განხორციელების უფლება მიენიჭა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის პირველი ოქტომბრის №1243855 გადაწყვეტილებით.
განხორციელდა მონიტორინგი შპს ბაუმერში ვიზიტის გარეშე, დოკუმენტაციის შესწავლის გზით და ზემოაღნიშნულ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები შეისწავლა დარგის ექსპერტმა და საბჭოს აპარატის წარმომადგენელმა. მონიტორინგის ფარგლებად განისაზღვრა მთავრობის №131 დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი, პროფესიული გადამზადების პროგრამასთან ,,მაცივარაგენტზე მომუშავე ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების მომსახურება“ მიმართებით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 29 ივლისის №925202 ბრძანების საფუძველზე საბჭოს აპარატის წარმომადგენელს ნია გუგუნავასა და დარგის ექსპერტს საბა მოდებაძეს დაევალა აღნიშნული მონიტორინგის განხორციელება შპს ბაუმერში (ვიზიტის გარეშე).
დარგის ექსპერტის აზრით, შპს ბაუმერის მიერ განახლებული პროფესიული გადამზადების პროგრამა წარმოადგენს პრაქტიკაზე მორგებულ სასწავლო მოდელს, რომლის მიზანია ტექნიკური უნარების განვითარება იმ სისტემებზე, რომლებიც აქტიურად გამოიყენება დღევანდელ სამუშაო ბაზარზე. პროგრამის ხანგრძლივობა შემცირდა 232 საათიდან 183 საათამდე. ამ ცვლილების მიუხედავად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრაქტიკული მეცადინეობების გამოკვეთას და ტექნიკური სამუშაოების ადგილზე შესრულებას. პრაქტიკულ სესიებში მოცემულია ინსტალაციის, ვაკუუმირების, ტესტირებისა და დიაგნოსტიკის პროცედურები, რაც აუდიტორიას საშუალებას აძლევს, რეალურ პირობებში იმუშაოს თანამედროვე გათბობა-გაგრილების სისტემებთან. სწავლების პროცესში თეორიული კომპონენტი გაერთიანებულია პრაქტიკულ ამოცანებთან, რაც აუმჯობესებს მასალის ათვისებას და განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია VRF სისტემებზე, რაც პროგრამას ანიჭებს თემატურ კონცენტრაციას და მიზნობრივ ტექნიკურ ღირებულებას. კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მსმენელები ფლობენ იმ კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია მაცივარაგენტზე მომუშავე გათბობა-გაგრილების სისტემების ინსტალაციისა და მომსახურებისთვის“. შესაბამისად შეიცვალა პროგრამის ხანგრძლივობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბაუმერში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ და „შპს ბაუმერისთვის „მაცივარაგენტზე მომუშავე ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების მომსახურება“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 01 ოქტომბრის №1243855 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ ვინაიდან მონიტორინგის საკითხის კენჭისყრა ვერ მოხდებოდა ელექტრონულად, საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ პოზიცია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დარგის ექსპერტის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბაუმერში (ს/კ: 405170933) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს ბაუმერის „მაცივარაგენტზე მომუშავე ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების მომსახურება“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 01 ოქტომბრის №1243855 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 6**).

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა 13:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გამყრელიძე გიორგი

პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
სანაია სალომე

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02352	კლასიკური დესერტების მომზადება	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	10	ქ. თბილისი, ძველი თბილისი, მთაწმინდის პლატო

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02353	ქართული სამზარეულოს ავთენტური კერძების მომზადება	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	10	ქ. თბილისი, ძველი თბილისი, მთაწმინდის პლატო

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02367	სერვისი და სერირება სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტებში	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	15	ქ. თბილისი, ძველი თბილისი, მთაწმინდის პლატო

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02282	Python პროგრამირება	პროფესიული მომზადება	მეოთხე	9	ქართული	15	ქ. ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის 28

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02283	ბექენდ დეველოპმენტი - Java	პროფესიული მომზადება	მეოთხე	9	ქართული	15	ქ. ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის 28

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02056	მაცივარაგენტზე მომუშავე ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების მომსახურება	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	9	ქართული	20	ქ. თბილისი, კ. სტანისლავსკის ქ. №1